ნინო კიღურაძე, რევაზ გაჩეჩილაძე, გიორგი სანიკიძე

ისტორია 12

მოსწავლის წიგნი

გრიფი მიენიჭა ს.ს.ი.პ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ
(ბრძანება N 375, 18.05.2012).

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

სარჩევი

6


40

51

59

67

80

97

117


126

მსოფლიო XIX საუკუნეში

I თავი

1. საფრანგეთი რესპუბლიკიდან იმპერიამდე (1800-1804) 6
2. ნაპოლეონის ომები და ვენის კონგრესი 10
3. ინდუსტრიალიზაცია და სოციალური საკითხი. ცვლილებები დასავლურ საზოგადოებაში 18
4. რევოლუციების ხანა ევროპაში. მონარქიის რესტავრაცია და 1830 წლის რევოლუცია საფრანგეთში 26
5. 1848-49 წლების რევოლუციები ევროპაში 31
6. საქართველოს სამეფოების დაპყრობა რუსეთის მიერ. აჯანყებები ცარიზმის წინააღმდეგ 36
7. რუსული მმართველობა საქართველოში. 1832 წლის შეთქმულება 44
8. „აღმოსავლეთის საკითხი“ XIX საუკუნეში 49
9. რუსეთ-სპარსეთის, რუსეთ-ოსმალეთის ომები და საქართველო 52
10. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების ხასიათი XIX საუკუნის მსოფლიოში. თერგდალეულების ბრძოლა მეფის რუსეთის წინააღმდეგ 57
11. იტალიის გაერთიანება 62
12. გერმანიის გაერთიანება 66
13. საფრანგეთის მესამე რესპუბლიკა 72
14. სამოქალაქო ომი აშშ-ში 75
15. ალექსანდრე მეორის რეფორმები რუსეთის იმპერიაში 80
16. ახალი პოლიტიკური იდეები და იდეოლოგიური ბრძოლა საქართველოში 85
17. იმპერიალიზმი და კოლონიური პოლიტიკა 90

მსოფლიო XX საუკუნის პირველ ნახევარში

II თავი

18. პირველი მსოფლიო ომის წანამძღვრები 96
19. საომარი მოქმედებები პირველი მსოფლიო ომის პერიოდში 100
20. რევოლუციები რუსეთში. ბრესტის ზავი და საქართველოს საკითხი 106
21. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 113
22. დიდი სახელმწიფოების პოლიტიკა კავკასიაში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბრძოლა საერთაშორისო აღიარებისათვის 120
23. ბრესტის ზავიდან მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებებამდე 125
24. საქართველოს ანექსია ბოლშევიკური რუსეთის მიერ 130

25. პირველი მსოფლიო ომის დასასრული. პარიზის კონფერენცია (საქართველოს საკითხი). ომის შედეგები. მსოფლიოს ახალი პოლიტიკური რუკა 135
26. საბჭოთა ტოტალიტარიზმი – სტალინიზმი 143
27. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და მისი დაძლევის ამერიკული გზა 149
28. ჰიტლერის მმართველობა გერმანიაში 153
29. იტალიური ფაშიზმი 158
30. ფრანკოს რეჟიმი 165
31. იაპონია მეორე მსოფლიო ომის წინ 170
32. საერთაშორისო ვითარება II მსოფლიო ომის წინ 173
33. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისი – საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომში, ქართველები მეორე მსოფლიო ომში 177
34. მეორე მსოფლიო ომის მსვლელობა და შედეგები. ნიურნბერგის პროცესი 184
35. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საფუძვლები 192

143

153

158

166

III თავი

მსოფლიო პოლიტიკა XX საუკუნის მეორე ნახევარში

36. „ცივი ომის“ დასაწყისი. მსოფლიოს ორ ბანაკად დაყოფა. ნატო და ვარშავის პაქტი 194
37. საერთაშორისო ურთიერთობები XX ს-ის 50-იანი წლების მეორე ნახევარსა და 60-იან წლებში. კარიბის კრიზისი. ომი ვიეტნამში 202
38. საერთაშორისო ურთიერთობები 70-იან წლებში 208
39. საერთაშორისო ურთიერთობები 80-იან წლებში. „ძალისმიერი პოლიტიკიდან“ განიარაღებისკენ 214
40. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია – გაერო 220
41. ევროპის ინტეგრაცია 224
42. მსოფლიო კოლონიური სისტემის დაშლა. დეკოლონიზაცია 230
43. მესამე სამყარო 236


204


215

221

234

236

საქართველო საბჭოთა კავშირში. საბჭოთა სისტემის დაშლა. საქართველოს დამოუკიდებლობა

IV თავი

246

257

262

265

44. საქართველო XX ს-ის 20-იან წლებში 240
45. პოლიტიკური რეპრესიების ხანა საქართველოში 246
46. საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება საბჭოთა პერიოდში 249
47. საქართველოს საზოგადოება და კულტურა XX საუკუნის პირველ ნახევარში 255
48. ეროვნული კულტურა და ეროვნული მოძრაობა XX ს-ის 50-იან-80-იან წლებში 260
49. პერესტროიკა. საბჭოთა კავშირის დაშლა 264
50. სოციალისტური ბანაკის დაშლა 270
51. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და სამოქალაქო ომი 275
52. საშინაო ვითარება და საგარეო ურთიერთობები საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში. „ვარდების რევოლუცია“ 280

საქართველოს მეზობელი ქვეყნები

V თავი

275

280

53. აზერბაიჯანი და სომხეთი 284
54. თანამედროვე თურქეთის შექმნა 292
55. ირანის ისლამური რესპუბლიკა 299

საზოგადოება და კულტურა XX საუკუნეში

VI თავი

292


303


312

56. დასავლური საზოგადოება და კულტურა XX საუკუნეში 304
57. საზოგადოებრივი მოძრაობები დასავლეთის ქვეყნებში XX ს-ის 60-70-იან წლებში 310

1. საფრანგეთი რესპუბლიკიდან იმპერიამდე (1800–1804)

ნაპოლეონ ბონაპარტი

18 ბრიუმერის გადატრიალების (1799 წლის 9 ნოემბერი) შემდეგ მიღებულმა ახალმა კონსტიტუციამ პირველი კონსული, **ნაპოლეონ ბონაპარტი**, თითქმის შეუზღუდავი ძალაუფლებით აღჭურვა. ხელისუფლების სათავეში მოსვლისას, ყოფილმა იაკობინელმა, რევოლუციონერმა და რესპუბლიკელმა პირველმა კონსულმა განაცხადა: „მოქალაქენო, რევოლუცია დასრულდა!“. საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქცია მთავრობის კანონპროექტების დამტკიცებით შემოიფარგლა. თვით წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობასაც პრაქტიკულად ნაპოლეონი ადგენდა (ახალი საარჩევნო წესის თანახმად, ხალხის მიერ არჩეულ ამომრჩევლებს მხოლოდ დეპუტატობის კანდიდატების წარდგენის უფლება ჰქონდათ. წარდგენილი კანდიდატებიდან დეპუტატებს სენატი ირჩევდა. სენატი, თავის მხრივ, სამუდამოდ დანიშნული პირებისაგან შედგებოდა). მოსამართლეებს, მოხელეებსა და ოფიცრებს ასევე პირადად პირველი კონსული ნიშნავდა. მაგრამ ნაპოლეონისთვის, როგორც ყოფილი იაკობინელისთვის, მაინც მნიშვნელოვანი იყო ხალხის უშუალო მხარდაჭერა. ამიტომ შენარჩუნდა პლებისციტის ინსტიტუტი. სწორედ ამ **სახალხო რეფერენდუმმა** 1802 წელს თითქმის ერთხმად დაუჭირა მხარი ნაპოლეონის „სამუდამო პირველ კონსულად“ დანიშვნას, ორი წლის შემდეგ კი – „ფრანგების იმპერატორად“ კურთხევას.

ნაპოლეონისადმი ხალხის მხარდაჭერა განპირობებული იყო როგორც მისი „დიდი არმიის“ წარმატებებით, რაც ფრანგებში მათი „დიდ ერად“ ჩამოყალიბების განცდას აღძრავდა, ისე მისი მმართველობის პერიოდში მიღწეული შედარებითი შინაპოლიტიკური სტაბილიზაციით.

ნაპოლეონის მმართველობის დროს გატარებულმა ფულის რეფორმამ და „საფრანგეთის ბანკის“ დაარსებამ გაამყარა ფინანსური მდგომარეობა. ქვეყანაში პურის ფასი დაბალი იყო. ამიტომ ხალხი ეგუებოდა მათი უფლებების შეზღუდვასა თუ პრესის მკაცრ ცენზურას.

1801 წელს ვატიკანთან გაფორმებული **კონკორდატით** (შეთანხმებით) მოხდა კათოლიკურ ეკლესიასთან შერიგება. კათოლიციზმი „ფრანგების უმრავლესობის რელიგიად“ გამოცხადდა. ემიგრანტ თავადაზნაურებს სამშობლოში დაბრუნების ნება დართეს კონსტიტუციაზე ფიცის დადების პირობით. მათ შეეძლოთ გამოესყიდათ ჩამორთმეული სამფლობელოები.

ნაპოლეონის მთავარი დასაყრდენი მის მიერ შექმნილი ახალი ელიტა იყო, რომელიც ძირითადად სამხედრო და მაღალი სამოხელეო წრეებიდან გამოსული დაწინაურებული

წყარო 1

ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსი (1804)

ა

ნაპოლეონის კოდექსი შედგება ორი ნაწილისაგან: სამოქალაქო კოდექსი შესულია პირველ წიგნში ,,პირების შესახებ''. მეორე და მესამე წიგნებში ,,საგნების შესახებ'', ანუ საკუთრების შესახებ განსაზღვრულია საკუთრების უფლება.

ნაპოლეონის სამოქალაქო კოდექსი

წიგნი I.

მუხლი 213: ,,ცოლი ვალდებულია დაემორჩილოს თავის ქმარს.''
მუხლი 215: ,,ცოლს არ აქვს უფლება წარდგეს სასამართლოს წინაშე თავისი ქმრის ნებართვის გარეშე.''
მუხლი 258: ,,მოღალატე ცოლი პატიმრობით ისჯება [ქმარი კი არა].''

წიგნი II და III.

მუხლი 544: ,,საკუთრების უფლება გულისხმობს რაიმე საგნის შეუზღუდავ ფლობასა და ამ საგნით სარგებლობას იმ პირობით, რომ ეს საგანი არ იქნება გამოყენებული კანონებითა და ბრძანებულებებით აკრძალული მიზნით.
მუხლი 545: ,,დაუშვებელია აიძულო ვინმე, დათმოს საკუთრება, თუ არა საზოგადოებრივი აუცილებლობის შემთხვევაში და ისიც მხოლოდ წინასწარ სათანადო კომპენსაციის გაღების შემდეგ.''

ბ

წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებული ბონაპარტის განცხადება

,,ჩემთვის ჭეშმარიტად სახელისა და დიდების მომტანი 40 მოგებული ბრძოლა კი არა... ჩემი სამოქალაქო კოდექსია.''

წყარო 2

დეკრეტები პრესის შესახებ (1800-03):

ა

,,აკრძალვას ექვემდებარება ყველა გაზეთი და ჟურნალი, რომლებიც მიმართულია სახალხო სუვერენიტეტის, არმიის დიდებისა და საზოგადოებრივი სიმშვიდის წინააღმდეგ ან რომლებიც თავს ესხმიან ჩვენს მეგობარ და მოკავშირე მთავრობებსა და ხალხებს.''

ბ

,,პრესის თავისუფლების დაცვის მიზნით, წიგნით მოვაჭრეებს ეკრძალებათ ნებისმიერი წიგნით ვაჭრობა, სპეციალური კომისიის მიერ მისი წინასწარი შემოწმების გარეშე. თუკი წიგნში არ აღმოჩნდება რაიმე ისეთი, რაც ცენზურას ექვემდებარება, წიგნი დაუბრუნდება მოვაჭრეს.''

პირებისაგან შედგებოდა. 1805 წელს „ნეაპოლის სამეფო დინასტიის მმართველობის შეწყვეტის შესახებ“ ედიქტის გამოცემით, რომლითაც ნაპოლეონის ძმა ჟოზეფი „ორივე სიცილიის მეფედ“ გამოცხადდა (სინამდვილეში ჟოზეფის ძალაუფლება მხოლოდ ნეაპოლზე ვრცელდებოდა, რადგან სიცილიას, სადაც ნეაპოლის მმართველი ბურბონები გაიქცნენ, ინგლისის ფლოტი იცავდა), იმპერატორმა დაიწყო მისი უახლოესი ნათესავებისა და გარემოცვის, ე.წ. „ნაპოლეონიდების“ გამეფება დაპყრობილ რეგიონებში. მაგრამ, ამავე დროს, 1804 წელს შემოღებული „სამოქალაქო კოდექსი“ განამტკიცებდა რევოლუციის მონაპოვარს, კერძოდ, კანონის წინაშე თანასწორობასა და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას.

1815 წ. გერმანული გრავიურა — ნაპოლეონის აღზევება და დაცემა. წარწერები საფეხურებზე (საათის ისრის მიმართულებით): კორსიკელი ბიჭი; ბრიენის სკოლის მოწაფე; ლეიტენანტი ტულონში; მოქალაქე და გენერალი არკოლში; რესპუბლიკის პირველი კონსული; საფრანგეთის იმპერატორი; ესპანეთთან გამომშვიდობება; რუსეთიდან შინ დაბრუნება; გაქცევა გერმანიიდან.

წყარო 3

ნაპოლეონი რელიგიის შესახებ:

,,არ არსებობს საზოგადოება ქონებრივი უთანასწორობის გარეშე. ამდენად, საზოგადოება ვერ იარსებებს რელიგიის გარეშე, რადგან შეუძლებელია დაარწმუნო ადამიანი, რომელიც შიმშილით კვდება, მაშინ, როცა სხვა მის გვერდით ფუფუნებაში ცხოვრობს, შეეგუოს ამ უსამართლობას, თუ არ იარსებებს ავტორიტეტი, რომელიც ეტყვის მას: ,,ღმერთმა ინება ასე, რომ ამქვეყნად მდიდრები და ღარიბები არსებობდნენ, სამაგიეროდ, იმქვეყნად გელით ცხონება... მე რელიგიაში ღვთიური განსახიერების საიდუმლოს კი არა, საზოგადოებრივი წყობის საიდუმლოს ვხედავ‘‘.

წყარო 4

ნაპოლეონი რესპუბლიკისა და თავისუფლების შესახებ:

,,იქნებ ფიქრობთ, რომ მე რესპუბლიკის დაფუძნება მინდა... ეს ფრანგების აკვიატებული აზრია, მაგრამ ეს ავადმყოფობაც გაივლის...

რაც მათ [ფრანგებს] სჭირდებათ, დიდება და პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებაა, მაგრამ თავისუფლების არაფერი გაეგებათ...

ერებს წინამძღოლი სჭირდებათ, დიდებით მოსილი წინამძღოლი და არა თეორიები მმართველობის შესახებ, არა მაღალფარდოვანი სიტყვები, არა იდეოლოგების საუბრები, რასაც ფრანგები ვერ იგებენ. მათ სათამაშო ცხენები უნდა მისცე, ამასაც იკმარებენ, გაერთობიან და გაჰყვებიან წინამძღოლს, თუკი ის მოხერხებულად შეუნიღბავს მიზანს, რომლისკენაც სურს გაიყოლოს.''

კლასში სამუშაო

1. გაეცანით წყარო 1-ს. იმსჯელეთ ქალის რევოლუციური კანონმდებლობითა და სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ უფლებრივ მდგომარეობაზე.
2. წყარო 1-ის (ა, ბ) განხილვის შემდეგ შეაფასეთ ნაპოლეონის კოდექსის დემოკრატიულობის ხარისხი. კოდექსის რომელი მუხლები ეწინააღმდეგება კანონის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორუფლებიანობის პრინციპს?
3. ტექსტიდან და წყაროებიდან (1, 2, 3) გამოყავით ის მახასიათებლები, რომლებიც, თქვენი აზრით, საშუალებას გაძლევთ ისაუბროთ ნაპოლეონის დროს შინაპოლიტიკურ სტაბილიზაციაზე. დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.
4. წყაროებზე (1, 2, 3, 4) დაყრდნობით შეეცადეთ განსაზღვროთ ნაპოლეონის მმართველობის ტიპი. წყარო 4-ის შინაარსიდან გამომდინარე, თქვენი აზრით, რატომ არ თქვა ნაპოლეონმა უარი კონსტიტუციაზე? შედარებისთვის იხ. აგრეთვე, წყარო 1ბ, წყარო 2ბ და შესაბამისი ადგილები ტექსტში. წყაროების განხილვისას ყურადღება გაამახვილეთ წინააღმდეგობრივ დებულებებზე.

2. ნაპოლეონის ომები და ვენის კონგრესი

ნაპოლეონის ომები

ნაპოლეონის „დიდ არმიას“ არაერთ მტრულ კოალიციასთან მოუხდა ბრძოლა (სულ შვიდი ასეთი კოალიცია შეიკრა). განცდილი მარცხის შემდეგ ცალკეული წევრები ეთიშებოდნენ კოალიციას, ზოგიერთი დროებით საფრანგეთის მოკავშირეც კი ხდებოდა, შემდეგ კი იქმნებოდა ახალი კოალიცია.

1800 წელს **მარენგოსთან** ავსტრიისა და 1805 წელს **აუსტერლიცთან** ავსტრია-რუსეთის გაერთიანებული ჯარის დამარცხებით ავსტრია საფრანგეთზე დამოკიდებული გახდა. 1806 წელს **იენასთან** და **აურშტედტთან** პრუსიაზე, 1807 წელს ფრიდლანდთან მის მოკავშირე რუსეთზე „დიდი არმიის“ მიერ მოპოვებული გამარჯვებების შედეგად, ანტიფრანგულ კოალიციას კიდევ ორი წევრი გამოეთიშა. 1807 წლის 24 ივნისს **ტილზიტში** დადებული ზავით პრუსიამ დაკარგა ტერიტორიები, მას დაეკისრა კონტრიბუცია და ფრანგული არმიის ცოცხალი ძალით მომარაგების ვალდებულება, რუსეთი კი საფრანგეთის მოკავშირედ იქცა.

ევროპის კონტინენტურ ნაწილში ყველა ძირითადი მოწინააღმდეგე დამორჩილებული იყო. მაგრამ ნაპოლეონისთვის პრობლემად რჩებოდა ინგლისი. თავდაპირველად, ბონაპარტი კუნძულზე ჯარების გადასხმას აპირებდა, მაგრამ ამ გეგმაზე საბოლოოდ უარი თქვა მას შემდეგ, რაც1805 წელს **ტრაფალგარის** საზღვაო ბრძოლაში ინგლისის ფლოტმა **ადმირალ ნელსონის** მეთაურობით საფრანგეთისა და იმ დროს მისი მოკავშირე ესპანეთის გაერთიანებული ფლოტი გაანადგურა.

ინგლისზე გამარჯვების მოპოვების ახალი გეგმა მის „კონტინენტურ ბლოკადაში“ მოქცევას ითვალისწინებდა. ევროპის ყველა დამორჩილებულ თუ სამოკავშირეო პი-

ბრძოლა ვაგრამთან, 1809

ტრაფალგარის ბრძოლა, 1805

რობით შეკრულ სახელმწიფოს აეკრძალა ინგლისთან სავაჭრო ურთიერთობა. კონტინენტური ბლოკადის იდეამ ნაპოლეონს პორტუგალიასა და ესპანეთში ჯარების შეყვანა გადააწყვეტინა, მათი პორტების ინგლისური საქონლისათვის ჩაკეტვის მიზნით. 1807 წელს ფრანგულმა ჯარმა პორტუგალია, 1808 წელს კი ესპანეთი დაიკავა. იმავე მიზნით 1810 წელს ანექსირებულ იქნა ჰოლანდია და ჩრდილო-დასავლეთი გერმანია (ჰანზას ქალაქების – ბრემენის, ჰამბურგისა და ლიუბეკის ჩათვლით).

ნაპოლეონის ჯარს ესპანეთში დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. ქვეყანაში დაიწყო განმათავისუფლებელი მოძრაობა. ესპანეთში შექმნილი ვითარებით ისარგებლა ავსტრიამ და 1808 წელს სცადა საფრანგეთის გავლენისგან თავის დაღწევა. 1809 წელს ნაპოლეონმა ვაგრამთან კიდევ ერთხელ დაამარცხა ავსტრიელები. ავსტრიაზე მოპოვებული სამხედრო გამარჯვება მან ე.წ. **„ავსტრიული ქორწინებით“** განამტკიცა: ავსტრიის საბოლოოდ დასამორჩილებლად ნაპოლეონმა იმპერატორის ქალიშვილზე იქორწინა.

კონტინენტური ბლოკადის შენარჩუნების პირობების დაცვა ეკონომიკური თვალსაზრისით ბევრი ქვეყნისთვის აუტანელი ხდებოდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა რუსეთი, რომლის ექსპორტის (პურის, სელის, ტილოს და სხვ.) 80-90% სწორედ ინგლისში გადიოდა, იქიდან კი სამრეწველო საქონელი შემოდიოდა. ამიტომ რუსეთის მეფე **ალექსანდრე I**-მა (1801-1825) უარი თქვა ტილზიტში მიცემულ სამოკავშირეო პირობის შესრულებაზე.

ნაპოლეონმა გადაწყვიტა ეიძულებინა რუსეთის იმპერატორი, დაბრუნებოდა კონტინენტური ბლოკადის რეჟიმს. 1812 წელს 600 ათასიანი „დიდი არმია“, რომელიც სანახევროდ უცხოელი ჯარისკაცებისაგან შედგებოდა (დამორჩილებული ქვეყნები

წყარო 1

ნაპოლეონის წერილიდან პოლიციის მინისტრ ფუშეს (1811):

,,მე მჭირდება 800 ათასი კაცი და მყავს კიდეც ამდენი. მთელ ევროპას გავიყოლებ... ჯერ ჩემი მოწოდება არ აღმისრულებია. ჩვენ საერთო ევროპული კანონი გვჭირდება, ევროპული სასამართლო, ერთიანი მონეტა, ერთიანი ზომა-წონის ერთეულები... ევროპის ხალხებისგან ერთ ერს შევქმნი და პარიზს მსოფლიო დედაქალაქად ვაქცევ‘‘.

,,დიდი არმიის'' უკან დახევა რუსეთიდან, 1812

ვალდებული იყვნენ დიდი არმია ცოცხალი ძალით მოემარაგებინათ), რუსეთისაკენ დაიძრა. სექტემბრის დასაწყისში სოფ. **ბოროდინოსთან** გამართული ბრძოლის შემდეგ ნაპოლეონი მოსახლეობისგან მიტოვებულ მოსკოვში შევიდა. თუმცა უჩვეულოდ ცივი ზამთრისა და ფართოდ გაშლილი პარტიზანული ბრძოლის პირობებში მას მალე მოუხდა რუსეთის დატოვება. ნაპოლეონის რუსეთის კამპანია მარცხით დასრულდა. იმპერატორმა მიატოვა თავისი არმია მდ. ბერეზინასთან და პარიზს მიაშურა.

რუსეთმა და პრუსიამ კიდევ ერთი ალიანსი შეკრეს და 1813 წლის ოქტომბერში გადამწყვეტი დარტყმა მიაყენეს ნაპოლეონს ლაიფციგთან გამართულ „ხალხთა ბრძოლაში", რომელშიც ერთმანეთს დაუპირისპირდა ერთი მხრივ, 450 ათასი ფრანგი და საფრანგეთის მოკავშირე გერმანული სახელმწიფოების ე.წ. „რაინის კავშირის" ჯარისკაცი („რაინის კავშირის" ჯარი შემდეგ მოწინააღმდეგის მხარეზე გადავიდა) და მეორე მხრივ, 500 ათასიანი რუსეთის, პრუსიის, ინგლისის, შვედეთისა და ავსტრიის გაერთიანებული ჯარი. „ხალხთა ბრძოლაში" ნაპოლეონი დამარცხდა. მოკავშირეთა ჯარები 1814 წლის მარტში პარიზში შევიდნენ. ნაპოლეონი აიძულეს გადამდგარიყო და გადაასახლეს კუნძულ ელბაზე. საფრანგეთში ბურბონების მმართველობა აღადგინეს. ტახტზე ლუი XVI-ის უმცროსი ძმა **ლუი XVIII** ავიდა. მაგრამ პირველი რესტავრაცია ხანმოკლე აღმოჩნდა. ნაპოლეონი გამოიქცა ელბადან, შეძლო ხელისუფლების დაბრუნება და მისი ასი დღით შენარჩუნება.

კარიკატურა ასახავს ნაპოლეონის მარცხს ,,ხალხთა ბრძოლაში'', (1813) წარწერა კაკალზე: ,,ლაიფციგი''

1815 წლის ივნისში **ვატერლოოსთან** ნაპოლეონი დამარცხდა თავის უკანასკნელ ბრძოლაში ინგლისისა და პრუსიის გაერთიანებული ჯარების წინააღმდეგ. 22 ივნისს ნაპოლეონმა უარი თქვა ტახტზე და ინგლისელებს ჩაბარდა. ამჯერად ის შორეულ წმინდა ელენეს კუნძულზე გადაასახლეს. ლუი XVIII პარიზს, საფრანგეთი კი მმართველობის **კონსტიტუციური მონარქიის** ფორმას დაუბრუნდა.

ნაპოლეონის გზა წმინდა ელენეს კუნძულისაკენ. (1815)

წყარო 2

წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებული ნაპოლეონის ჩანაწერებიდან:

,,ვინც მე ომის განსაკუთრებულ სიყვარულში დამდებს ბრალს, მას მომავალი ისტორიული მწერლობა განუმარტავს, რომ მე მუდმივად თავდასხმის მსხვერპლი ვიყავი.''

ვენის კონგრესი

ჯერ კიდევ ნაპოლეონის პირველი გადადგომის შემდეგ, პარიზის 1814 წლის 30 მაისის ხელშეკრულებით, გადაწყდა კონგრესის მოწვევა ვენაში ნაპოლეონის მიერ შექმნილი იმპერიის ტერიტორიების გადასანაწილებლად. კონგრესი ნოემბერში დაიწყო, გრძელდებოდა „ასი დღის" განმავლობაშიც და დასრულდა ნაპოლეონის მეორე გადადგომამდე ცხრა დღით ადრე, 1815 წლის 9 ივნისს.

ვენის კონგრესზე შეიკრიბნენ საფრანგეთთან ომებში გამარჯვებული სახელმწიფოების წარმომადგენლები – ხელმწიფეები, სამეფო ოჯახების წევრები, დიპლომატები. კონგრესს თავმჯდომარეობდა ავსტრიის კანცლერი **გრაფი ფონ მეტერნიხი**.

ვენის კონგრესი გახდა დიპლომატიური „ბრძოლის ველი", სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდა ნაპოლეონთან ომებში ყოფილი მოკავშირეების ინტერესები. გამოიკვეთა დაპირისპირებულ სახელმწიფოთა ორი ჯგუფი: ერთის მხრივ, რუსეთი და დიდი ბრიტანეთი და, მეორე მხრივ, ავსტრია და პრუსია. ამგვარ ვითარებაში დამარცხებული საფრანგეთი (მას წარმოადგენდა ლუი XVIII-ის მინისტრი **ტალეირანი**. ის გამოცდილი დიპლომატი იყო; თავის დროზე ემსახურებოდა ნაპოლეონს და იმპერიაში ყველაზე მაღალი თანამდებობები ეკავა) ცდილობდა გამოეყენებინა გამარჯვებულთა წინააღმდეგობები და შეძლებისდაგვარად შეემცირებინა დანაკარგები.

ლექსიკონი

- **რესტავრაცია** – აღდგენა
- **ნომინალური** – აქ: რასაც ან ვისაც მხოლოდ სახელი ჰქვია და ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას.
- **ექსპანსიონიზმი** – ახალი ტერიტორიების დაპყრობისაკენ მისწრაფება
- **პოლონეთის დაყოფა** – პოლონეთი ოთხჯერ დაიყო: 1772, 1793, 1795 და 1815 წლებში.
- **პენტარქია** (ლათ.) – ხუთის მმართველობა
- **კონცერტი** – აქ: ურთიერთთანხმობა

რუსეთი და პრუსია ცდილობდნენ ტერიტორიულ გაფართოებას აღმოსავლეთ ევროპის ნაწილის (მათ შორის პოლონეთის) შემოერთებით. რუსეთის მიზანი იყო აგრეთვე

ოსმალეთის იმპერიის დაშლა, რათა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებით მიეღო გასასვლელი ხმელთაშუა ზღვაზე. ეს კი აქ უძლიერესი ფლოტის საშუალებით გაბატონებული ბრიტანეთის ინტერესებს შელახავდა. დიდ ბრიტანეთს სურდა შეენარჩუნებინა საზღვაო პირველობა და მისი მიზანი იყო არსებული მდგომარეობის (სტატუს კვოს) შენარჩუნება ევროპაში, რაც რუსების პრეტენზიების შეკავების საშუალებად ესახებოდა. დიდი ბრიტანეთი ასევე მხარს უჭერდა პრუსიის გაძლიერებას გერმანიაში, რაც შესაბამისად წინაღობა გახდებოდა რუსეთის ზეგავლენის გაზრდისათვის ევროპაში. რუსები და ბრიტანელები ასევე კონკურენტები იყვნენ ოსმალეთის იმპერიაში და ცენტრალურ აზიაში რუსეთის – კასპიის ზღვისაკენ, ხოლო ბრიტანეთის – ავღანეთისაკენ წინსვლის პირობებში.

პრუსია და ავსტრია ერთმანეთს ექიშპებოდნენ გერმანულ მიწებზე პირველობისთვის. ავსტრიას აწყობდა დანაწევრებული გერმანიის არსებობა, რომლის გაერთიანების მოსურნეც იყო პრუსია საკუთარი წინამძღოლობით. ავსტრია ასევე უპირისპირდებოდა რუსეთის ინტერესებს ბალკანეთზე (რუსეთმა თავი ოსმალეთის იმპერიის სლავური წარმოშობის უმცირესობების დამცველად გამოაცხადა) – აქ ის ხედავდა რუსეთის გაფართოების საფრთხეს მისი ტერიტორიების ხარჯზე, რომლებიც ოსმალეთის იმპერიას ემიჯნებოდა. ავსტრიის ამ პოზიციას მხარს უჭერდა დიდი ბრიტანეთი, რადგან ბალკანეთზე პოზიციების გამყარების შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, რუსეთი ხმელთაშუა ზღვის რეგიონს დაემუქრებოდა.

ტალეირანმა რთული პოლიტიკური თამაში წამოიწყო. **1815 წლის 3 იანვარს** მან ავსტრიისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებთან საიდუმლო ხელშეკრულებას

ევროპა ვენის კონგრესის შემდეგ

მოაწერა ხელი, რომელიც პრუსიისა და რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. საბოლოოდ, დიდი ტერიტორიული დანაკარგის მიუხედავად, დამარცხებულმა საფრანგეთმა მიაღწია საკუთარი საზღვრების დაკანონებას 1792 წლისათვის არსებულ ფარგლებში.

ვენის კონგრესზე მიღწეული შეთანხმებების შედეგად, შეიქმნა **გერმანული კონფედერაცია** (იარსება 1866 წლამდე), რომელიც დაყოფილი იყო 39 „სახელმწიფოდ" (1792 წლისათვის 350 „სახელმწიფო" არსებობდა). პრუსიის სამეფოს ტერიტორიული შენაძენი დიდი არ იყო. ამჯერად მასში შედიოდა აღმოსავლეთ პრუსია, საქსონიის ჩრდილო ნაწილი, რაინლანდისა და ვესტფალიის დიდი ნაწილი. კონფედერაცია პრუსიისა და ავსტრიის იმპერიის ნაწილებსაც მოიცავდა (თუმცა, ეს ტერიტორები რჩებოდა ამ სახელმწიფოების შემადგენლობაში). კონფედერაცია უკიდურესად სუსტი და რეალურ სახელმწიფოებრივ საფუძვლებს მოკლებული იყო. გერმანულ სახელმწიფოთა ამგვარი სუსტი გაერთიანება სხვა ევროპული სახელმწიფოების, უპირველესად დიდი ბრიტანეთის, ინტერესებში შედიოდა.

ავსტრიამ თითქმის მთლიანად დაიბრუნა ნაპოლეონთან ომების დროს დაკარგული ტერიტორიები. ბელგიის დაკარგვის სანაცვლოდ კი მიიღო გერმანული მიწებისა და იტალიის ნაწილი (ლომბარდია და ვენეცია).

შვედეთმა (ახალი შვედური დინასტია დააფუძნა ნაპოლეონის მარშალმა ბერნადოტმა) შეიერთა ნორვეგია, ადრე დანიის სამფლობელო, იმ პირობით, რომ ნორვეგიას მიენიჭებოდა ფართო ავტონომია.

პოლონეთი კიდევ ერთხელ, ამჯერად მეოთხედ გაიყო და ყველაზე მეტად მოგებული ამ შემთხვევაში რუსეთი დარჩა. ცენტრალურმა პოლონეთმა, რომლის დედაქალაქიც ვარშავა იყო, რუსეთთან ერთად შექმნა სამეფო, რომელსაც სათავეში ედგა ვიცე-მეფე – რუსეთის იმპერატორის ძმა კონსტანტინე. ამასთან ერთად, პოლონეთი თვითმმართველობის ფართო უფლებებით სარგებლობდა.

დიდ ბრიტანეთს არაფერი მოუთხოვია ევროპაში არც თავისთვის და არც თავისი

წყარო 3

ავსტრიის კანცლერ მეტერნიხისა და გერმანიის მისიის მეთაურის, კარლ ფონ ჰარდენბერგის მიერ ტერმინ „მოკავშირე სახელმწიფოების" გამოყენების საპასუხოდ ტალეირანის 1814 წლის 30 სექტემბრის განცხადება:

,,მოკავშირეები... და ვის წინააღმდეგ? ეს აღარ არის ნაპოლეონის წინააღმდეგ... ის კუნძულ ელბაზეა. ეს აღარ არის საფრანგეთის წინააღმდეგ. მშვიდობა უკვე დამყარებულია. ეს ნამდვილად არ არის საფრანგეთის მეფის წინააღმდეგ. ის ამ მშვიდობის სიმტკიცის გარანტია. ბატონებო, ვისაუბროთ გულწრფელად. თუკი აქ არიან მოკავშირე სახელმწიფოები, მაშინ ჩემი ადგილი აქ არ არის... ამასთან, აქ რომ არ ვიყო, დიდად დაგაკლდებოდით. ბატონებო, მე ალბათ ერთადერთი ვარ, ვინც არაფერს ითხოვს. საფრანგეთი საკმარისად მდიდარია თავისი რესურსებითა და ტერიტორიით, მოსახლეობის რაოდენობითა და გონიერებით, პროვინციების მყარი კავშირითა და ერთიანი მმართველობით... თუკი ზოგიერთი პრივილეგირებული სახელმწიფო მოინდომებს კონგრესზე საკუთარი, ერთპიროვნული დიქტატის გატარებას, მაშინ უნდა ვთქვა... მე ვერ მივცემ ამგვარ მოკავშირეობას რაიმე უზენაეს უფლებამოსილებას იმ საკითხების გადაწყვეტისას, რაც მთლიანად კონგრესის კომპეტენციას წარმოადგენს და ვერ გავიზიარებ მისგან წამოსულ შემოთავაზებას''.

ტალეირანის მემუარები

მოკავშირეების – ესპანეთისა და პორტუგალიისათვის (ამ ქვეყნებში მეფეებმა დაიბრუნეს ხელისუფლება), მაგრამ მან შეძლო ნიდერლანდის სამეფოს შექმნა (მასში შევიდა თანამედროვე ბელგიაცა და ლუქსემბურგიც), რაც საფრანგეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ამასთან ერთად, ინგლისმა მიიღო ახალი კოლონიები და განიმტკიცა ზღვებზე ბატონობა.

საბოლოოდ, ვენის კონგრესის „გამარჯვებულებად“ შეიძლება დიდი ბრიტანეთი და ავსტრია ჩაითვალოს. მათ მოახერხეს ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ავსტრია, რუსეთი, პრუსია) ევროპაში ნაპოლეონის ჰეგემონიამდე არსებული „ძალთა წონასწორობის“ აღდგენა.

ვენის კონგრესს განსაკუთრებით მნიშვნელობა ჰქონდა იმ თვალსაზრისით, რომ აქ შეიქმნა ე.წ. **ევროპის კონცერტის სისტემა** (ამ საერთაშორისო სისტემას კონგრესის სისტემის სახელითაც მოიხსენიებენ), რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპის დიდი სახელმწიფოების პოლიტიკა პირველად წარიმართა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. იმდროინდელი მსოფლიოს ხუთი წამყვანი სახელმწიფო (**პენტარქია**) პირველად იწყებს შეთანხმებულ მოქმედებას. „კონცერტში“ მოქმედება, უპირველეს ყოვლისა, გამოვლინდა ნაპოლეონის შემდგომ ევროპაში ძველი, ვენის კონგრესის გადაწყვეტილებებში „ლეგიტიმურად“ წოდებული, მონარქიების რესტავრაციაში. ამასთანავე, შეთანხმებულად მოქმედი ევროპელი მონარქები უგულვებელყოფდნენ საკუთარი და სხვა ევროპელი ხალხების მისწრაფებებს. ეს შეეხებოდა როგორც დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილს (ბელგია, პოლონეთი, ბალკანეთის ქრისტიანები), ისე სახელმწიფოებრივი გაერთიანების სურვილს (იტალია, ნაწილობრივ გერმანია). ამდენად, ვენის კონგრესმა 1848 წლის ლიბერალური რევოლუციებისთვის (რომელიც „ხალხთა გაზაფხულის“ სახელითაცაა ცნობილი) მოამზადა ნიადაგი.

ევროპის კონცერტით შეიქმნა საერთაშორისო სამართლის ახალი რეალობა, რომლის თანახმადაც საზღვრების შეცვლა არ შეიძლებოდა კონგრესის საბოლოო აქტის ხელმომწერი სახელმწიფოების თანხმობის გარეშე.

წყარო 4

,,მას შემდეგ, რაც ჰაბსბურგებმა წარუმატებლობა განიცადეს ცენტრალურ ევროპაში ჰეგემონიის დამყარების მცდელობისას ოცდაათწლიანი ომის დროს, ავსტრიამ თავი დაანება მთელი გერმანიის დამორჩილებაზე ფიქრს. 1806 წელს მხოლოდ ნომინალურად არსებული საღვთო რომის იმპერია გაუქმდა. მაგრამ ავსტრია კვლავაც მიიჩნევდა საკუთარ თავს პირველად თანასწორთა შორის და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი არც ერთი გერმანული სახელმწიფოსათვის, უპირველეს ყოვლისა, პრუსიისათვის, არ მიეცა ავსტრიისათვის ისტორიული როლის წართმევის საშუალება.

ურთიერთობები ამ ორ ყველაზე დიდ გერმანულ სახელმწიფოს შორის და მათი ურთიერთობები სხვებთან უმნიშვნელოვანესი იყო ევროპული სტაბილურობისათვის. მართლაც, გერმანიის შინა მოწყობა ევროპას აყენებდა დილემის წინაშე: ის თუ სუსტი და დანაწევრებული იქნებოდა, მაშინ უბიძგებდა თავის მეზობლებს, განსაკუთრებით საფრანგეთს, ექსპანსიონიზმისაკენ. იმავდროულად კი მისი გაერთიანების პერსპექტივა აშინებდა მის მეზობლებს.

ჰენრი კისინჯერი, დიპლომატია

კლასში სამუშაო

1. წყაროების (1, 2) განხილვისა და შედარების გზით დაადგინეთ ნაპოლეონის დაპყრობების მიზნები. რა წინააღმდეგობას ხედავთ ამ წყაროების შეჯერებისას? შეადარეთ ასევე პარაგრაფის ტექსტს.
2. ტექსტისა და წყარო 3-ის მიხედვით შეაფასეთ ტალეირანის მოქმედება. რატომ ამახვილებს ის განსაკუთრებულ ყურადღებას გერმანიისა და ავსტრიის „მოკავშირეობაზე“? რა არგუმენტები მოჰყავს საფრანგეთის ინტერესების დასაცავად? რამდენად წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს ტალეირანის მოქმედების შედეგები ვენის კონგრესზე საფრანგეთისთვის?
3. ტექსტისა და წყარო 4-ის მიხედვით იმსჯელეთ გერმანიისა და ავსტრიის დაპირისპირების მიზეზებზე. რა უშლიდა ხელს გერმანული მიწების ერთ სახელმწიფოში გაერთიანებას? რომელი სახელმწიფო შეიძლებოდა ყოფილიყო გერმანიის გაერთიანების სულისჩამდგმელი?

ძირითადი თარიღები